პროლეტარებო ყველა ეროვნებისა, შეერთდით!

# კომუნისტი

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 245 (19986) შაბათი, 24 ოქტომბერი, 1987 წელი. ◆ ფასი 3 კაპ.

70 1917·1987

**გაუმარჯოს სსრ კავშირის მტკიცე, ძმური შეგობრობით გაერთიანებული ხალხების დიად მრავალეროვან კავშირს!**

სკკპ ცენტრალური კომიტეტის მოწოდებიდან

საოქტომბრო შრომითს ვახტზე

## რეზერვების იმედით

**დიდი** ოქტომბრის 70 წლისთავის აღსანიშნავად გამლილი სოციალისტური შეჯიბრება თბილისის სტალინის სახელობის ელექტროვაგონშემკეთებელ ქარხანაში. წლის დასაბული საწარმოო პროგრამის ვადამდე შესრულების მნიშვნელოვანი ფაქტორია. ჯერ კიდევ ნის დაწყებამდე მშრომელებმა. საგულდაგულოდ აწონდაწონეს ყველა შესაძლებლობა და გადაწყვიტეს პროდუქციის რეალიზაციის წლიური დავალება შესრულონ 27 დეკემბრისათვის, დამატებით გამოუშვან 100 ათასი მანეთის პროდუქცია. ოქტომბერში ამ ზეგეგმით ყულაბას შეემატა მრავალი ათასი მანეთის მზა ნაწარმი.

საოქტომბრო შრომითი ვახტი მოიცავს რეკონსტრუქციის ძნელ პირობებში მომუშავე საწარმოს სამეურნეო ცხოვრების პრაქტიკულად ყველა მხარეს. ემზადება რა ახალ ეკონომიკურ პირობებში მუშაობაზე გადასასვლელად, კოლექტივი ნიადაგ ზრდის შრომის ნაყოფიერებას, რის მეოხებითაც გათვალისწინებული აქვს მიაღწიოს პროდუქციის მატების 85 პროცენტს, აქტიურად ითვისებს ახალ ტექნიკას.

• • •

**ვადამდე** შეასრულა სასაქონლო პროდუქციის გამოშვებისა და შრომის ნაყოფიერების ზრდის ხუთწლედის ორი წლის გეგმა მადნეული სამთო-მამდიდრებელი კომბინატის კოლექტივმა. საწარმოს მშრომელებმა თვიანთი წარმატება მიუძღვნეს რევოლუციის მოახლოებულ იუბილეს.

მაღარიელებს წლითიწლობით სულ უფრო უძნელდებათ წიაღისეულის ამოღება, ნიადაგ მატულობს სამუშაოთა შრომატევადობა. მაგრამ მაღნეულელები შეძლეს არათუ არ გაეზარდათ, შეემცირებინათ კიდეც პროდუქციის თვითღირებულება. ამაში მათ დაეხმარა ეგრეთ წოდებული გამდიდრების ნარჩენების გამოყენება, სახალხო მოხმარების საქონლის წარმოების მატება, მოსახლეობისათვის გასაწევი მომსახურების ასორტიმენტის გაფართოება.

(საკინფორმი).

## ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივნის ვიზიტი

**მორიგების** შესაბამისად, 22 ოქტომბერს მოსკოვში მოსალაპარაკებლად ჩამოვიდა ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანი ჯ. შულცი. მას ჩამოჰყვა ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის თანაშემწე ეროვნული უშიშროების საკითხებში ფ. კარლუჩი.

• • •

**ამავე** დღეს დაიწყო სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრის, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის ე. ა. შევარდნაძისა და ჯ. შულცის მოლაპარაკება.

მხარეების ყურადღების ცენტრშია ბირთვული იარაღის შემცირებისა და ლიკვიდაციის, რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის ხელშეკრულების განმტკიცების პრობლემატიკისა და უშიშროების დარგის სხვა საკითხები.

საქმიანი და კონსტრუქციული სულისკვეთებით მიმდინარე განხილვის დროს შეაჯამეს იმ მუშაობის შედეგები, რომელიც სსრ კავშირისა და შეერთებული შტატების დელეგაციებმა გასწიეს ქენევის ბირთვული და კოსმოსური შეიარაღების საკითხთა მოლაპარაკებაზე, უწინარეს ყოვლისა, საშუალო და ნაკლები სიშორის საბჭოთა და ამერიკული რაკეტების ლიკვიდაციის ხელშეკრულების ტექსტის მოსამზადებლად იმ პრინციპულ მორიგებათა შესაბამისად, რომლებსაც ამ საკითხის გამო მიაღწიეს სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრისა და შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივნის შეხვედრაზე, რომელიც ვაშინგტონში მიმდინარე წლის სექტემბერში გაიმართა. კერძოდ, დეტალურად განიხილეს საკითხები, რომლებიც დელეგაციებმა ქენევაში ჯერ მთლიანად ვერ შეათანხმეს. მხარეებმა დიდი ყურადღება დაუთმეს სხვა შემდგომ ღონისძიებებს შეიარაღების შეზღუდვისა და შემცირების სფეროში.

ე. ა. შევარდნაძისა და ჯ. შულცის მოლაპარაკება ძირითადად მიმდინარეობდა ვიწრო შემადგენლობით, კერძოდ, საბჭოთა კავშირის მხრივ — სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივნის ა. თ. დობრინინისა და სხვა ოფიციალური პირების მონაწილეობით, ამერიკის მხრივ — ჯ. შულცის თანმხლები პირების მონაწილეობით. მოეწყო აგრეთვე პლენარული სხდომა. მინისტრებმა შექმნეს ექსპერტთა გაერთიანებული ჯგუფები, რომლებსაც დაევალათ განიხილონ და საბოლოოდ ჩამოაყალიბონ იმ პრობლემათა ტექნიკური ასპექტები, რომლებიც მოსკოვის მოლაპარაკების საგანს შეადგენს.

• • •

ე. ა. შევარდნაძემ საუზმე გაუმართა ჯ. შულცსა და მის თანმხლებთ.

საუზმეზე იყვნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი, სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრი დ. ტიაზოვი, ა. თ. დობრინინი, მოლაპარაკების საბჭოთა და ამერიკელი მონაწილენი. (საკდესი).

# უკვდავება

## ილია ჭავჭავაძის დაბადების 150 წლისთავისადმი მიძღვნილი საზეიმო სხდომა საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიის დიდ საკონცერტო დარბაზში

„...მისთვის ღვთის ცეცხლი გულში, რომ ერისა მოძმედ ვიყო ქმუნვასა და სიხარულში...“. ეკაცმა, რომელმაც ასე განსაზღვრა თავისი ცხოვრების კრედო, იცოდა ამ სიტყვის ყადრი. მაგრამ სწორედ ამიტომ, როგორც ნათელმა გენიამ, მან სხვა რამეც იცოდა: იგი მხოლოდ ნაწილი იყო მთელისა, რომლისთვისაც ხორცი უნდა შეესხა თავის ქმნილებებში. იგი შეერწყა საქართველოს, შმობელ ხალხს, მის ისტორიასა და ენას, და ამიტომაც მარად ვეძებთ ჩვენს თავს ილია ჭავჭავაძეში და ვპოულობთ სილამაზის, სიმართლის, სიცოცხლის, სიწმინდის, სამართლიანობის იდეალურ სახეს. ამ ღირებულებებით მიაბიჯეს იგი მომავალში, და მარად ჩვენი სულიერი მოძღვარი და თანამეგზეროვნა. საუკუნეს გაჰყვება მისი ზნეობრივი ანდერძი — მისი არსით ეროვნული და მთელი კაცობრიობის ცოდნილი შემოქმედება. დროთა შორეთში ილია მომავალ თაობებს მიაწვდის თავისი ნიჭის მარად მოგზიგზე ცეცხლს, გადაუშლის თავისი უბერებელი შემოქმედების ახალ წახნაგებს, საოცარი მზატვრული აღმოჩენების ბრწყინვალეებს და მოგვანიშნებს სულიერი სრულყოფის ზღვრს.

სწორედ ამ გრძნობებმა განუსაზღვრა ტონალობა ილია ჭავჭავაძის დაბადების 150 წლისთავისადმი მიძღვნილ საზეიმო სხდომას, რომელიც 23 სექტემბერს გაიმართა საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიის დიდ საკონცერტო დარბაზში.

აქ შეიკრიბნენ პარტიული, საბჭოთა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების, შრომითი კოლექტივების წარმომადგენლები, მეცნიერებისა და კულტურის მოღვაწენი, მრავალი სტუმარი ჩვენი საშობლოს ყველა კუთხიდან და საზღვარგარეთის 27 ქვეყნიდან.

სხდომა შესავალი სიტყვით გახსნა ილია ჭავჭავაძის დაბადების 150 წლისთავის დღესასწაულის ბომწყობილ რესპუბლიკური საიუბილეო კომისიის თავმჯდომარემ, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ჯ. ი. პატიაშვილმა. მან თქვა:

ძვირფასო ამხანაგებო!

მეგობრებო!

პატივცემულო სტუმრებო!

მადლიერი ქართველი ხალხი დიდებით მოსავს თავის უკვდავ შვილს — დაბადების 150 წლისთავის იუბილეს უხდის ილია ჭავჭავაძეს. ერთი თვის შემდეგ დიდ მამულიშვილს მოსკოვი უმასპინძლებს. ჩვენთან ერთად ზეიმობენ საბჭოთა ქვეყნის მოძმე ხალხები, დიდი პროგრესული საზოგადოებრიობა.

ამის ნათელი დადასტურებაა ჩვენი საიუბილეო სხდომაც, რომლის მუშაობაში მრავალეროვნული საბჭოთა მწერლობისა და კულტურის ღირსეული წარმომადგენლები მონაწილეობენ. აქვე ვხედავთ სტუმრებს, რომლებიც საზღვარგარეთის მრავალი ქვეყნიდან ჩამოვიდნენ.

გულითადად მივესალმებით და მადლობას ვუძღვნით იუბილეზე ჩამოსულ სტუმრებს — საბჭოთა კავშირის მწერალთა კავშირის დელეგაციას, მის თითოეულ წევრს, რომლებსაც ქართველ ხალხთან ძმობა და მეგობრობა აკავშირებთ.

გულითადად მივესალმებით და მადლობას ვუძღვნით მოძმე რესპუბლიკების მწერალთა კავშირების დელეგაციებს, მათ თითოეულ წევრს, რომლებსაც დიდი წვლილი შეაქვთ ჩვენი ხალხების პატრიოტული და ინტერნაციონალური სულისკვეთებით აღზრდის საქმეში.

გულითადად მივესალმებით და მადლობას ვუძღვნით საზღვარგარეთელ სტუმრებს, რომლებიც ამშვენებენ ჩვენს იუბილეს.

ყოველმხრივ მხარს ვუჭერთ მსოფლიოს პროგრესულ კულტურათა ასეთ ერთსულოვნებას. იგი ცხადყოფს, რომ ხალხებისთვის ერთნაირად ახლობელია სხვადასხვა ენაზე განუმეორებელი ეროვნული ფერებითა და ხმებით ამეტყველებული ნაფიქრნაზრევი. ასეთი ერთიანობა ადამსტურებს იმასაც, რომ ეროვნული ლიტერატურისა და ხელოვნებისათვის უცხოა ეროვნული ჩაკეტილობა, კუთხურობა და პროვინციალიზმი.

ეს კიდევ უფრო მეტად წარმოაჩენს ილიას ღვაწლს, რომელიც მთელი თავისი შემოქმედებით იბრძოდა იმისათვის, რათა ქართული მწერლობა მსოფლიო პროგრესული კულტურის ფართო სარბიელზე გაეყვანა. უფრო მეტად დაშურებოდა იგი ეროვნულ და ზოგადსაკაცობრიო ფასეულობა.

სულ მალე ახალი დიდი დღესასწაული დაუდგება ჩვენს ქვეყანას. საბჭოთა ხალხი მსოფლიოს მოწინავე საზოგადოებრიობასთან ერთად ზეიმით აღნიშნავს დიდი ოქტომბრის 70 წლისთავს, რომელმაც ვ. ი. ლენინისა და მისი თანამებრძოლების მიერ გამოწურთობილი კომუნისტური პარტიის მეთაურობით ისტორიაში პირველად შექმნა სრულიად ახალი ტიპის სახელმწიფო და კაცობრიობის რევოლუციური გახსნილების ხანა დაიწყო.

ეს განსაკუთრებულ შინაარსს მატებს ჩვენს საიუბილეო განწყობილებას, ამაში ჩანს ისტორიის კანონზომიერება და თაობათა მემკვიდრეობითობა, საბჭოთა ადამიანების დამოკიდებულება წარსული კულტურისადმი, დიდ წინაპართა რევოლუციურ-დემოკრატიული და ჰუმანისტური იდეალებისადმი.

ილიას ცხოვრება და მოღვაწეობა თავისი სამშობლოს აღორძინება-აყვავებას ისახავდა უზენაეს მიზნად. დიდმა მამულიშვილმა და მისმა სახელოვანმა თანამებრძოლებმა — აკაკი წერეთელმა, ვაჟა-ფშაველამ, იაკობ გოგებაშვილმა, ნიკო ნიკოლაძემ, გიორგი წერეთელმა, ალექსანდრე ყაზბეგმა, თეიმურაზ ერეკლეს ძე ბაგრატიონ-მუხრანელმა, ალექსანდრე ფეშინი, ალექსანდრე ფეშინი, ალექსანდრე ფეშინი

# ეკვდავები

(დასასრული)

თავისი მხატვრული ტალანტი, სიცოცხლე, ბუნებით უხვად მომადლებული ნიჭიერება და დაუშრეტელი ენერგია ახალი დროის მიერ დაყენებული ურთულესი საკითხების პრაქტიკულად გადაწყვეტისათვის.

უკვალოდ არ ჩაუვლია ილიას ტიტანურ ბრძოლას. უშედეგოდ არ დაფერფლილა მისი სიცოცხლე. უნაყოფოდ არ დამშრალა მისი ნიჭიერება და ენერგია. სრულდა დიდი მწერლის სანუკვარი ოცნება. რუს ხალხთან, საბჭოთა კავშირის სხვა ხალხებთან ერთად მოიპოვა ქართველმა ხალხმა ეროვნული და სოციალური თავისუფლება. დღეს საქართველო საბჭოთა ხალხების ძმურ ოჯახში იმედიანად მიიკვლევს გზას ცივილიზაციის მწვერვალებისაკენ.

ილიასა და მისი თანამოაზრეების გაკვალული გზა სწორი აღმოჩნდა. აი რატომ არის დღეს ძვირფასი ჩვენთვის ილია ჭავჭავაძის მემკვიდრეობა. აი რატომ იქნება ყოველთვის დაფასებული ილია ჭავჭავაძის ღვაწლი ჩვენი შთამომავლობის მიერ.

მართებულად განსაზღვრა ილიამ ქართველი ხალხის კეთილდღეობის ამაღლების წყაროებიცა და მიმართულებანიც. იგი სამეურნეო განვითარების დაჩქარებას, ბუნებრივი რესურსებისა და შესაძლებლობათა გონივრულად გამოყენებას ხალხის თავისთავადობის, მისი პრაგრესისა და ზნეობრივი გაკეთილშობილების უმთავრეს პირობად მიიჩნევდა.

ამიტომაც იბრძოდა იგი თავგამოდებით სამეურნეო ცხოვრების გაჯანსაღებისათვის. ეკონომიკური ურთიერთობის მოწესრიგება, დოვლათის სიუხვე, მეურნეობის გაძღოლის მოწინავე ფორმებისა და მეთოდების დანერგვა, სპეციალისტთა აღზრდა, ხალხის ტრადიციების აღორძინება-განვითარება — აი რა იყო მუდამდღე მისი ფიქრისა და ზრუნვის საგანი.

„...აქამომდე მივიწყებულს ეკონომიურ მხარეს ჩვენის ცხოვრებისას პირველი ადგილი უნდა დაეთმოს სხვა საზრუნავთა შორის... ეკონომიკური ცხოვრების მოედანზე უნდა ვეძიოთ ღონე ჩვენის გაძლიერებისა, ტანში გამართვისა“, — წერდა იგი და დაბეჯითებით იმეორებდა — „თავი და ბოლო ერის წინსვლისა, წარმატებისა, გაძლიერებისა, შინა და გარეთ დამოუკიდებლობისა ეკონომიური ღონისძიებაა. უამისოდ ხალხი ერთს ნაბიჯსაც წინ ვერ გადასდგამს, რაც გინდა სავსე ჰქონდეს გული დიდებული აზრებითა“.

ასეთივე გულმოდგინებით ასწავლიდა ილია თავის ხალხს — ეკონომიური დაწინაურებისათვის სრულიადაც არ არის საკმარისი არც მრთელი ჰავა, არც ნაყოფიერი მიწა და არც შეძლება ყოველგვარი წარმოებისათვის. ამასთან ერთად აუცილებელია „შრომის სუფეკის“ დაკვედრება, მისი „ახსნა“, „ურთიერთშორისი განწყობილების“ მოგვარება ანუ უკეთესართი და უსამართლო ურთიერთობის მოსპობა, ბორკილ-ახსნილი ობიექტური და სუბიექტური წინამძღვრების შექმნა.

ყველაფერი ეს ილიამ თავისი შემოქმედებით თვალნათლივ დაანახვა ხალხს. შექმნა მხატვრული შედევრები, მრავალრიცხოვანი პუბლიცისტური წერილები და ფუნდამენტური გამოკვლევები, ჰარტიკულად იღვაწა ქვეყნის ეკონომიკური წინსვლა-აღორძინებისათვის. სწორედ ამ პრობლემათა გადასაწყვეტად თავისი ნიჭისა და ენერგიის უხვად გაღებამ ჩაუყენა იგი სათავეში მისივე იდეებით შექმნილ და დაარსებულ ქართულ საადგილმამულო ბანკს, რომელსაც სამ ათეულ წელზე მეტი ხნის განმავლობაში ღირსეულად უძღვებოდა.

დიდია ამ ბანკის როლი ხალხის თვითმყოფობის გადარჩენაში. იგი ჩვეულებრივი საკრედიტო დაწესებულება კი არა, პროგრესისათვის მებრძოლთა ეროვნული ცენტრი იყო. აქ იბადებოდა და ხორცს ისხამდა ყველა იდეა, რომელიც „საზოგადო სიკეთესა და საჭიროებას“, ხალხის ცხოვრების მშვიდობიან გარდაქმნას ემსახურებოდა.

დიდი მწერალი ვერ მოესწრო ბევრი ჩანაფიქრის განხორციელებას. მაგრამ დღეს უკვე ცხადზე უცხადესია — სწორედ მისმა შეუპოვარმა ბრძოლამ შეუქმნა მკვიდრი საფუძველი სამშობლოს აღორძინებასა და აყვავებას. ილიას დამსახურება ის არის, რომ მან სწორად გაიგო სამეურნეო განვითარების დაჩქარების, მოწინავე მეცნიერებასა და ტექნიკას, სრულყოფილ საზოგადოებრივ ურთიერთობებს დაფუძნებული ეკონომიკის როლი ხალხის კეთილდღეობის ამაღლებაში.

არანაკლები მნიშვნელობა აქვს იმასაც, რომ მან თავის სამშობლოშივე იპოვა ეკონომიკური განვითარების დაჩქარების უმდიდრესი შესაძლებლობანი და ზედმიწევნით სწორად განსაზღვრა ამ შესაძლებლობათა გამოყენების გზები, წარმოაჩინა ხალხის შრომისმოყვარეობა და ნიჭიერება, მისი დიდი ინტელექტუალური უნარი.

საბჭოთა საქართველოს განვითარებამ მთლიანად დაადასტურა ილიას optიმიზმის საფუძვლიანობა. დღეს ჩვენი ხალხის კეთილდღეობა ემყარება რესპუბლიკის მრავალდარგოვან მრეწველობას, სოფლის მეურნეობასა და ეკონომიკის სხვა დარგებს, რომლებსაც ღირსეული წვლილი შეაქვთ საბჭოთა კავშირის ერთიან სახალხო-სამეურნეო კომპლექსში.

ეკონომიკური პოტენციალის შემდგომ გადიდებაზე ზრუნვა არის და კვლავაც დარჩება ჩვენი და ჩვენი შთამომავლობისათვის ერთ-ერთ უპირველეს ამოცანად. ამიტომ ილია დღესაც ჩვენი მასწავლებელია. ამიტომ იქნება იგი ახალი და ახალი თაობების მასწავლებელი.

ქედუხრელად ზიდა საქართველოს უკვდავმა შვილმა ხალხის განმანათლებლის ტვირთიც. მან კარგად იცოდა, რომ კულტურული დონის ამაღლების გარეშე ფუჭი ოცნება იქნებოდა ხალხის როგორც სოციალურ-ეკონომიკური, ისე ზნეობრივი აღორძინება. ამიტომაც ატარებს ასე თვალნათლივ მთელი მისი ცხოვრება და შემოქმედება მკვეთრად გამოხატულ კულტურულ-საგანმანათლებლო ხასიათს.

იგი იყო მესაძირკველე იმდროინდელ საქართველოში შექმნილი თითქმის ყველა ქართული ორგანიზაციისა. სწორედ მის მიერ დაარსებულ დაწესებულებებს შეაქონდათ ხალხში კულტურა, ცოდნა და განათლება.

სამი ათეული წელი ედგა სათავეში დიდი მწერალი ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას. სწორედ ეს საზოგადოება ენთო მაშინ ეულ ჩირაღდნად სინათლისაკენ მიმავალ გზაზე. იგი ზრუნავდა ქართულად ხალხის სწავლა-განათლებაზე, კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებათა შექმნაზე, მათს მოვლა-პატრონობაზე, სახელმძღვანელოებისა და ქართული კლასიკური, თანამედროვე და საზღვარგარეთული მოწინავე ლიტერატურის გამოცემაზე, ძველი ხელნაწერებისა და ხალხური ზეპირსიტყვიერების ნიმუშების შეგროვებაზე, გამოჩენილ მოღვაწეთა უკვდავყოფასა და პოპულარიზაციაზე.

მკვიდრად ჩააყენა ილიამ საზოგადოების ზნეობრივი განწყენდის სამსახურში მისი რუდუნებით აღორძინებული ქართული თეატრიც. მანვე თავს იდვა კიდევ ერთი დიდი ტვირთი — დრამატული საზოგადოების თავმჯდომარეობა. „ჩვენს სცენას ორ ღვაწლსა ვსთხოვთ, — ამბობდა იგი, — პირველი, რომ მარადა გამაწმენდელი იყოს ჩვენი ცხოვრებისა, ჩვენის ჭკუისა და გულის განმათავისუფლებელი და მწვრთნელი, და მეორე — იგი უნდა იქნას იმ ადგილად, სადაც ჩვენი ენა უნდა წამოდგეს მთელი მშვენებითა და სიმდიდრითა“.

ერთგულად ედგა ილია მხარში ამ დიდ ეროვნულ კერასაც მისი უწმინდესი დანიშნულების შესრულებაში. თვითვე წერდა წერილებს თეატრსა და დრამატურგიაზე, ზრდიდა ქართველ მსახიობთა ახალ თაობებს, ყველი ღონეს ხმარობდა მათი მატერიალური მდგომარეობის გასაუმჯობესებლად.

დიდი მწერალი არც ამ საქმეში დამშვრალა უნაყოფოდ. დღეს საყოველთაო აღიარებით საარგებლობს ქართული საბჭოთა თეატრალური ხელოვნება. ამის ერთი მაგალითია თუნდაც ის, რომ სწორედ რუსთაველის თეატრს ხვდა წილად მოსკოვში ახლახან გასნილი მეგობრობის თეატრში პირველი სპექტაკლის გამართვის დიდი პატივი.

„.. ერის პირქვე დამხობა... იქიდამ დაიწყება, — აფრთხილებდა ილია ხალხს, — როცა თავის ისტორიას ივიწყებს, როცა მას ხსოვნა ეკარგება თავისის წარსულისა, თავისის ყოფილს ცხოვრებისა. დავიწყება ისტორიისა, თავისის წარსულისა და ყოფილის ცხოვრების აღმოფხვრა ხსოვნისაგან — მომასწავებელია ერის სულით და ხორციით მოშლისა“.

ამიტომ ცდილობდა ასე გამუდმებით დიდი დიალექტიკოსი და მატერიალისტი ეპოვა ლოგიკური კავშირი წარსულს, აწმყოსა და მომავალს შორის. მას ერთი წუთითაც არ ტოვებდა უდიდესი სურვილი უთუოდ მოენახა ის „მაგარი ქვა“, რომელმაც საუკუნეებში გამოატარა და ისტორიულ ჭარტეხილებს გადაარჩინა ეს ერთი ბუჟა ხალხი. მაგრამ დიდ მამულიშვილს არც ეს მიაჩნდა საკმარისად. მისი აზრით, აუცილებლად უნდა გამორჩეულიყო ის „უვარგისი და ფხვნილი ქვაც“, რომელმაც საქართველო „ასე უწყალოდ“ ჩამოარჩინა „...სხვა ქვეყნებსა ან განათლებასა, ან გამდიდრებაზი“.

ამ გულდაგული ძიებას მხოლოდ ერთი მიზანი ჰქონდა — როგორმე გამოეღვიძებინა თავისი სამშობლო, ღვიძლი სიტყვა ეთქვა მისთვის და ამ სიტყვით გულისტკივილი მოერჩინა, დავრდომილი აღედგინა, უნუგეშოსათვის ნუგეში მოეფინა, მტირალისათვის ცრემლი მოეწმინდა, მუშაკისათვის შრომა გაეადვილებინა, ქვეყნის გაციებული გულის გასათბობად ერთ დიდ ცეცხლად შეეგროვებინა ხალხში გაბნეული ნაპერწკლები, გაემხნევებინა თანამოძმენი, განემტკიცებინა მათთვის საკუთარი ძალების რწმენა და გადაეშალა აქტიური მოღვაწეობის ფართო სარბიელი.

დიდი ილიასა და მისი თანამებრძოლების შეგროვებული ნაპერწკლები ახალმა და ახალმა თაობებმა აიტაცეს და რევოლუციური განახლების ცეცხლად აქციეს. სწორედ ამ რევოლუციურმა ცეცხლმა აღორძინა ახალი საქართველო, ააყვავა ეროვნული ლიტერატურა და ხელოვნება, მეცნიერება, კულტურა და განათლება. თავისი კულტურულ-ინტელექტუალური და მეცნიერულ-ტექნიკური პოტენციალით საქართველოს დღეს ღირსეული ადგილი უჭირავს მთელ ჩვენს ქვეყანაში.

ამის ნათელი გამოხატულებაა თუნდაც პირველი ქართული საბჭოთა თერმიტტომიანი უნივერსალური ენციკლოპედიის გამოცემის დასრულება, რაც გუშინ, სწორედ ილიას იუბილეს დღეებში იდღესასწაულა ჩვენმა ხალხმა. ეს ეროვნული მოვლენა ყველაზე თვალნათლივ მეტყველებს ამაზე, თუ რაოდენ ღონივრად გაღვივდა დიდი მწერლისა და მოაზროვნის მიერ ხალხში დათესილი კეთილი მარცვლები.

მარად იცოცხლებს ჩვენში და ჩვენს შთამომავლობაში ილიას საქმენი. იცოცხლებს იმიტომ, რომ იგი გვასწავლის, როგორ უნდა გვიყვარდეს შობელი ხალხი და ქვეყანა, როგორ უნდა ვემსახურებოდეთ მას. როგორ უნდა ვზრუნავდეთ მის აწმყოსა და მომავალზე, როგორ ვუფრთხილდებოდეთ მის სახელსა და ღირსებას.

ეს დიდი მემკვიდრეობა იმის გაკვეთილიც არის, რომ ამ სიყვარულს არაფერი აქვს საერთო ეროვნულ ნიშან-თვისებათა ბრმა გაიდეალებასა და თაყვანისცემასთან, კუდაბზიკური ყოყოჩობასა და თავმოწონებასთან, ავისა და კარგის განურჩევლობასთან. „ჩვენ ქართველნი გვიყვარს მხოლოდ მისი სიკეთე, სიცუდე კი ყველგან საზიზღარია“, — ამბობდა ილია და არა მარტო ამბობდა, არამედ თვითონ მთელი თავისი სიცოცხლე ამ პრინციპით ცხოვრობდა.

ერის მუდამ და ყველგან თანაზიარ შვილს ფიზიკურ გადარჩენასთან ერთად ხალხის სულიერი ხსნა უპირველესი მნიშვნელობის საქმედ მიაჩნდა. ამიტომ ებრძოდა იგი ასე შეუპოვრად ერის ჯანსაღი სხეულისათვის უცხო და მანკიერ წყლულებს. იგი თავის მამულიშვილურ ვალად თვლიდა საქვეყნოდ ემხილებინა „ქართველის სიავე“, გამომეზეურებინა ნაკლოვანებანი, კერძო თუ საზოგადოებრივი ცხოვრების სატკივარი, პირუთვნელად გამოეთქვა თავისი აზრი იმათზე, ვინც გულრუდობდა, პირად კეთილდღეობას, საამქვეყნო სიამოვნებას სწირავდა ერის ინტერესებს. პირდაპირ გასაცარია, როგორ შეეძლო თავის სამშობლოსთან სიყრმიდანვე ასე ბუნებით შეუღლებულ კაცს ამდენი ნაკლი ეპოვა თავის საფიცარ ხალხში და ცრემლნარევი სარკაზმით მწარედ ეკითხა მისთვის — „ჩვენისთანა ბედნიერი კიდევ არის სადმე ერი?!“

ღალატი, შური და დაბეზღება; ფუჭი ოცნება, სიცრუე და საზოგადო საქმეზე საკუთარი სამრეკლოდან ზარების რეკვა; ბეღოვლათობა და სხვისი მოიმედეობა, ზარმაცობა, მომხვეჭელობა და ბელმრუდობა; ფლიდობა, ქიშპობა და ურთიერთგაუტანლობა; სხვა დიდი თუ მცირე უკუღმართობა მიაჩნდა მას იმ სენად, რომელიც ერს შეჭამრვოდა სხეულში, კიდევ უფრო ამწვავებდა სოციალურ უსამართლობას და ხალხს გადაგვარებისაკენ მიაქანებდა.

„ვაი იმ ხალხს, რომელსაც საერთო ძარღვი გაუწყდა, საცა საერთო ძარღვში სისხლი გაუშრა, საცა ყველაფი თითო არ არის და თითოში — ყველა, საცა თითოეული ყველასათვის არ ფიქრობს და ყველა თვითეულისათვის, საცა „მე“ ხშირია და „ჩვენ“ იშვიათი“, — გულდამწვარი ამბობდა ილია, რომელიც ხედავდა, თუ როგორი ღრმა უფსკრული გაჩენილიყო თანამოძმეთა შორის. თუ საქართველოს გადარჩენა ეწადა, უნდა გაეცალცლებულიყო ეს სისხლგამშრალი ძარღვი, აღდგენილიყო ხიდი ყველასა და თითოეულს შორის. დიდი მწერალი სისხლითა და ხორცით გრძნობდა, რომ უამისოდ ხალხს არ ეწერა მომავალი. ამიტომ უქადაგებდა იგი დღენიადაგ თანამოძმეებს სოციალურ სამართლიანობასა და ზნეკეთილობას, ერთგულებასა და ურთიერთსიყვარულს, პატიოსნებასა და შრომისმოყვარეობას, საქვეყნო გარჯასა და თავდადებას.

რაოდენ აქტუალურად და თანადროულად ჟღერს დღესაც ეს ბრძნული დარიგება. კვლავ რა დიდად უნდა ვიღვაწოთ ერის სულიერი სიწმინდისა და ზნეობრივი ამაღლებისათვის, ამიტომ ჩვენთვის დღესაც „ძვირფასია ილია ჭავჭავაძის მემკვიდრეობა. ამიტომ ილია ჩვენი თანამედროვე და თანამებრძოლია.

ილიას თავისი სამშობლო მსოფლიოს განუყოფელ ნაწილად, ხოლო მშობელი ხალხი — ერთიანი საკაცობრიო ოჯახის წევრად მიაჩნდა. ამიტომაც შეეძლო მას თავის ქვეყანასა და ხალხთან ერთად გულწრფელი სიყვარულით შეეყვარებინა სხვა ხალხები, უდიდესი პატივისცემით გამსჭვალულიყო სხვა ქვეყნების მიმართ, ამასთან ულმობელი ყოფილიყო ეროვნული ნიჰილიზმისა და პოლიტიკური კოსმოპოლიტიზმის ყოველგვარი გამოვლინების მიმართ, უშიშრად აღმართულიყო თავისი ხალხის სახელისა და ღირსების დასაცავად.

ილია მთელი თავისი ბუნებით იყო დიდი პატრიოტი და ინტერნაციონალისტი. სწორედ ამან დაანახვა მას თვალნათლივ ორი რუსეთი: მეფისა და მემამულეების რუსეთი და პუშკინისა და ლერმონტოვის, გოგოლისა და ტოლსტოის რუსეთი.

ამ პროგრესულ რუსეთს უკავშირდება იგი საქართველოს მომავალს. მასში ხედავდა თავისი ქვეყნის აღორძინებისა და მსოფლიოს მოწინავე ხალხების კულტურასთან ზიარების წყაროს. ამიტომაც მოუწოდებდა ქართველობას დაუფლებოდა რუსი ხალხის ენას, დაწაფებოდა მის კულტურას.

„რა თქმა უნდა, რომ რუსულმა ლიტერატურამ დიდი ხელმძღვანელობა გაგვიწია წარმატების გზაზედ და დიდი ზემოქმედება იქონია ყოველს მასზედ, რაც ჩვენს სულიერ ძალ-ღონეს შეადგენს... არ არის დღეს ჩვენში არც ერთი მოღვაწე და მომქმედი კაცი მწერლობაში, თუ საზოგადო საქმეთა სარბიელზე, რომ თავისუფალი იყოს ხსენებული ლიტერატურის ზეგავლენისაგან“, — ამბობდა ილია ჭავჭავაძე და ხაზგასმით მიუთითებდა, რომ „რუსული მწერლობის შესწავლა და ცოდნა ჩვენთვის აუცილებლად საჭიროა. რომ რუსეთის ცხოვრება იმდენად საინტერესოა და განსაკუთრებულის ხასიათისა, რომ ორივეს შესწავლა ჩვენთვის აუცილებელს საჭიროებას შეადგენს“.

ამას ილია უწინარეს ყოვლისა ახალგაზრდობას უანდერძებდა, რადგან სწორედ მათში ხედავდა თავისი სამშობლოს მომავალს, ჰქონდა მათი იმედი, სწამდა მათი ნიჭიერებისა. დიდ მწერალსა და მოაზროვნეს მომავალი თაობის აღზრდის ყველაზე საუკეთესო საშუალებად პირადი მაგალითი მიაჩნდა. ერის უანგარო სამსახურის პირადი მაგალითები კი ილიამ თავის შთამომავლობას უხვად დაგვიტოვა.

ავიღოთ, თუნდაც პეტერბურგში განსწავლის შემდეგ 24 წლის ახალგაზრდა კაცის პირველი შეხვედრა თავის მთვლემარე სამშობლოსთან. როგორი მოკრძალება, როგორი პატივისცემა, სიყვარული და ერთგულება იგრძნობა ამ შეხვედრაში. როგორ ღრმადა აქვს მას შეგნებული პასუხისმგებლობა ქვეყნისა და ხალხის წინაშე, როგორ ნათლად აქვს განსაზღვრული მიზნები და იდეალები, როგორ მკაფიოდ აქვს გაანრიგებული სამშობლოს ეროვნული და სოციალური განთავისუფლების პროგრამა. მას აოცებს ცივი და მოუკარებელი მყინვარის სიდიადე, მაგრამ შეჰხარის შეუპოვარ და ბობოქარ თერგს. სწორედ მასში ხედავს გადვიძებული ცხოვრების სახეს, რადგან კარგად იცის, რომ „მოძრაობა და მარტო მოძრაობა არის... ქვეყნის ღონისა და სიცოცხლის მიმეცემი“.

ეს სიტყვები 126 წლის წინათ ითქვა, მაგრამ მათ დღესაც არ დაუკარგავთ მნიშვნელობა. ისინი კვლავ მოგვიწოდებენ ბრძოლისა და განახლებისათვის. ჩვენი დღევანდელობის შინაარსს ისევ და ისევ მოძრაობა, განახლება, წინსვლა, გარდაქმნა, პროგრესი განსაზღვრავს. კვლავ რჩება უმაღლეს იდეალად სწრაფვა მარად წინ, ადამიანის, საზოგადოების, ქვეყნისა და მსოფლიოს ქეშმარიტი კეთილდღეობისაკენ.

ილია ჭავჭავაძის მემკვიდრეობა აპოლოგიაა საზოგადოებრივი ცხოვრების რევოლუციური განახლებისა. შეუპოვარი ბრძოლისა და მოქმედებისა, გარდაქმნისაკენ, დაჩქარებისაკენ, დემოკრატიისაკენ, პროგრესისაკენ სწრაფვისა, გაქვავებული სტერეოტიპების, შაბლონებისა და უძრაობის თავდან გაბედულად მოშორებისა. სწორედ ამიტომ ჩვენთვის დღესაც ძვირფასია ილია ჭავჭავაძის მემკვიდრეობა. ამიტომ ილია ჭავჭავაძე ჩვენი დიდი წინამორბედი იარის და ჩვენი დიდი თანამედროვეც. ამიტომ ეხმიანება მისი მემკვიდრეობა ჩვენი ქვეყნის რევოლუციური განახლების პროცესებს, რომლებსაც სათავე დაუდო პარტიის ცენტრალური კომიტეტის 1985 წლის აპრილის პლენუმმა და ყოველმხრივ გააღრმავა XXVII ყრილობამ.

საზოგადოების ზნეობრივ სიჯანსაღეს, სულიერ კლიმატს, რომელშიც ცხოვრობენ ადამიანები, — აღნიშნა პარტიის ყრილობაზე მ. ს. გორბაჩოვმა, — მნიშვნელობას დაუფლებოდა ილია ჭავჭავაძის ეროვნული ინტერნაციონალიზმი, ეროვნული ამაყობა, ეროვნული ინტერესებისადმი ერთგულება, ეროვნული ღირსებისადმი ერთგულება, ეროვნული ინტერესებისადმი ერთგულება, ეროვნული ინტერესებისადმი ერთგულება, ეროვნული ინტერეს

# ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲐᲮᲐᲚᲥᲐᲚᲐᲥᲘᲡ ᲠᲐᲘᲙᲝᲛᲘᲡ ᲞᲚᲔᲜᲣᲛᲘ

**ᲒᲐᲘᲛᲐᲠᲗᲐ** საქართველოს კომპარტიის ახალქალაქის რაიკომის პლენუმი, რომელმაც განიხილა ორგანიზაციული საკითხები.

პლენუმმა გაათავისუფლა ს. ბ. სტეფანინი პარტიის ახალქალაქის რაიკომის პირველი მდივნისა და ბიუროს წევრის მოვალეობისაგან პარტიის საწესდებო მოთხოვნათა დარღვევისათვის, კადრების შერჩევასა და განაწილებაში დაშვებული უხეში შეცდომებისათვის.

პარტიის რაიკომის პირველ მდივნად არჩეულია მ. გ. ფიდანიანი, რომელიც მუშაობდა ახალქალაქის სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის პირველ მოადგილედ — რაიონული აგროსამრეწველო გაერთიანების თავმჯდომარედ.

პლენუმის მუშაობაში მონაწილეობდა და სიტყვა წარმოთქვა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ნ. ა. ჭითანავამ.

# ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲙᲘᲠᲝᲕᲘᲡ ᲠᲐᲘᲙᲝᲛᲘᲡ ᲞᲚᲔᲜᲣᲛᲘ

**ᲒᲐᲘᲛᲐᲠᲗᲐ** საქართველოს კომპარტიის თბილისის კიროვის რაიკომის პლენუმი, რომელმაც განიხილა ორგანიზაციული საკითხები.

პლენუმმა გაათავისუფლა მ. პ. წიკლაური პარტიის რაიკომის პირველი მდივნისა და ბიუროს წევრის მოვალეობისაგან საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის აპარატში სამუშაოზე გადაყვანასთან დაკავშირებით.

პარტიის რაიკომის პირველ მდივნად არჩეულია ვ. ბ. ბონდარენკო, რომელიც მუშაობდა თბილისის კიროვის რაიონის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარედ.

პლენუმის მუშაობაში მონაწილეობდა და სიტყვა წარმოთქვა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ვ. ი. ალავიძემ.

# ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲙᲘᲠᲝᲕᲘᲡ ᲠᲐᲘᲝᲜᲘᲡ ᲡᲐᲮᲐᲚᲮᲝ ᲓᲔᲞᲣᲢᲐᲢᲗᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲡᲔᲡᲘᲐ

**ᲒᲐᲘᲛᲐᲠᲗᲐ** ქალაქ თბილისის კიროვის რაიონის სახალხო დეპუტატთა საბჭოს სესია, რომელმაც განიხილა ორგანიზაციული საკითხები.

სესიამ გაათავისუფლა ვ. ბ. ბონდარენკო სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის მოვალეობისაგან პარტიის თბილისის კიროვის რაიკომის პირველ მდივნად არჩევასთან დაკავშირებით.

რაიაღმასკომის თავმჯდომარედ არჩეულია ზ. მ. ლეკიშვილი, რომელიც მუშაობდა საქართველოს კომპარტიის თბილისის კიროვის რაიკომის მეორე მდივნად.

სესიის მუშაობაში მონაწილეობდა და სიტყვა წარმოთქვა პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის პირველმა მდივანმა ვ. ი. ალავიძემ.

# ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲙᲘᲠᲝᲕᲘᲡ ᲠᲐᲘᲝᲜᲘᲡ ᲡᲐᲮᲐᲚᲮᲝ ᲓᲔᲞᲣᲢᲐᲢᲗᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲡᲔᲡᲘᲐ

**ᲒᲐᲘᲛᲐᲠᲗᲐ** ქალაქ თბილისის ოქტომბრის რაიონის სახალხო დეპუტატთა საბჭოს სესია, რომელმაც განიხილა ორგანიზაციული საკითხები.

სესიამ გაათავისუფლა გ. ს. ბაკურაძე ოქტომბრის რაიონის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის მოვალეობისაგან საქართველოს კომპარტიის თბილისის ლენინის რაიკომის პირველ მდივნად არჩევასთან დაკავშირებით.

აღმასკომის თავმჯდომარედ არჩეულია გ. მ. ყანანა, რომელიც მუშაობდა პარტიის თბილისის ოქტომბრის რაიკომის მდივნად.

# ᲩᲮᲘᲜᲕᲐᲚᲘᲡ ᲡᲐᲮᲐᲚᲮᲝ ᲓᲔᲞᲣᲢᲐᲢᲗᲐ ᲡᲐᲥᲐᲚᲐᲥᲝ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲡᲔᲡᲘᲐ

**ᲒᲐᲘᲛᲐᲠᲗᲐ** ცხინვალის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის მოვალეობისაგან სხვა სამუშაოზე გადაყვანასთან დაკავშირებით.

აღმასკომის თავმჯდომარედ არჩეულია ვ. ს. ბესაევი, რომელიც მუშაობდა ცხინვალის „ელექტროგენერატორების“ ქარხნის მთავარ ინჟინრად.

სესიის მუშაობაში მონაწილეობდა და სიტყვა წარმოთქვა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს წევრობის კანდიდატმა, პარტიის სამხრეთ ოსეთის საოლქო კომიტეტის პირველმა მდივანმა ფ. ს. სანაკოევმა.

(ᲡᲐᲥᲘᲜᲤᲝᲠᲛᲘ).

## „ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲘᲡ“ ᲡᲐᲒᲣᲨᲐᲒᲝ

**ᲑᲐᲒᲠᲘᲡ** შემოსავლელი გზის პირველი რიგის მშენებლობა გაგრიფშის ხეობასთან დასასრულს უახლოვდება და დროებით ავტომანქანების ქარავნები კვლავ ქალაქში გადიან. მაგრამ ასე დიდხანს არ გაგრძელდება. ამ ხეობაში, სადაც უკვე ადრე გაკეთებული გზის ყველაზე დიდი გვირაბი მთავრდება, უკვე დაწყებულია გაგრის შემოსავლელი გზის მეორე რიგის მშენებლობა. ის მთლიანი გვირაბით გადის ეოკეკვარის ხეობამდე. მისი საერთო სიგრძე 2.279 მეტრს აღემატება. მშენებლები თვალიანთი ტექნიკით მძის სიღრმეში არიან შეჭრილნი და ამიტომაც გარეთან არც იგრძნობა, თუ რა რთულ სამუშაოებს ასრულებს ქალაქკურორტის ამ ლამაზ კუთხეში ენგურჰესის მშენებლობის მიწისქვეშა ნაგებობათა სამშენებლო სამმართველოს გამოცდილი კოლექტივი. მას საქართველო შ ი ცნობილი ჰიდროშენებელი მ. ჭაავა ხელმძღვანელობს. გაგრის სამშენებლო ობიექტის უფროსი რ. კალანდაძე, რომლის საწარმოო ბიოგრაფიაში აღნიშნულია არაერთი რთული მიწისქვეშა ნაგებობა დონბასში, ტყვარჩელში, თავის მდიდარ გამოცდილებასა და ენერგიას არ იშურებს, რათა ეს გვირაბი 1990 წლისათვის საექსპლოატაციოდ ჩაბარდეს.

დაჩქარება და მშენებლობის ინტენსიური ტექნოლოგიის ფართო დანერგვა მთავარი მამოძრავებელი ძალაა მშენებელთა საქმიანობაში. გვირაბგამყვანებმაც გადაწყვიტეს წლიური გეგმა დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 70 წლისთვისთვის შეასრულონ და 120 მეტრით წასწიონ წინ გვირაბის გაყვანა.

ოთხი სანგრევიდან უტევენ ერთდროულად ამ კლდოვან მთას გვირაბგამყვანები. მუშაობა მიმდინარეობს დღე-ღამეში ოთხ ცვლად. ძირითადი სამუშაოები აქ მექანიზებულია. რთულ სამთო-გეოლოგიურ პირობებში იყენებენ თვითმოძრავ უნიკალურ შიდაწყის ძრავით მომუშავე საბურღ აგრეგატს, რომელიც გვირაბგამყვანებისათვის პივაროოს სამთო მოწყობილობათა ექსპერიმენტულ ქარხანაში დაშზადდა.

ეს უნიკალური მანქანა, რომელსაც გვირაბგამყვანების, მბურღავებისა და ამფეთქებლებისაგან შემდგარი 24-კაციანი კომპლექსური ბრიგადა ემსახურება, მექანიკური წესით ერთდროულად ასრულებს ღრმა ბურღვის, აფეთქებისა და ქანის გამოტანის სამუშაოებს.

ახალ მანქანას გვირაბის მთლიანი კვეთიდან ქანი ერთდროულად გამოაქვს და თავის უკან 3-4-მეტრიან გამზადებულ გვირაბს ტოვებს. გვირაბგამშვანის ჩქარისული მეთოდის დანერგვა უზრუნველყოფს აგრეთვე ენგურის ჰიდროშენებელთა მიერ შემუშავებული ლითონნის მოძრავი ქარგლის გამოყენებას. სანგრევიდან ქანის გამოტანისთანავე დაუყოვნებლივ იწყება ბეტონის სამუშაოები. ეს მეტად შრომატევადი ოპერაციაც მექანიზებულია. გამზადებულ ბეტონ ს დანიშნულების ადგილზე აწვდიან ავტომატური პნევმოდანადგარები. შთამბეჭდავია თვით გვირაბის გაბარიტები. მისი სიმაღლე 13 მეტრია, სიგანე — 10,5 მეტრი, ხოლო საავტომობილო საგალი გზა 8 მეტრი იქნება. მიწისქვეშა სწრაფშავლები — ასე უწოდებენ სიიუბლეო ვიტზე მდგომ კომპლექსური ბრიგადების წევრებს, რომლებსაც გამოცდილი მშენებლები შ. ხეცურიანი და ვ. შადრინი უდგანან სათავეში.

— გაგრელი გვირაბგამყვანების მიერ აღებული სამუშაო ტემპი გაცილებით უკეთესი იქნებოდა, — გვითხრა გაგრის სამშენებლო ობიექტის უფროსმა რ. კალანდაძემ, — რომ არ გვაფერხებდეს საშენი მასალებით მომარაგების მოუწესრიგებლობა.

ფაქტები კი ასეთია: ამ ბოლო დროს ეს ობიექტი ყოველთვიურად 500-600 ტონა ცემენტს ღებულობს, აუცილებლად საჭიროა 1.000 ტონის ნაცვლად. და კიდევ: წამყვან უბნებზე, სადაც გვირაბგამყვანები შემჭიდროებული გრაფიკით მუშაობენ, ხშირია, მოცდენები იმის გამო, რომ სატრანსპორტო ორგანიზაციები არღვევენ სახელშეკრულებო ვალდებულებებს.

**Ი. ᲒᲝᲒᲝᲫᲘᲐ.**

**„კომუნისტის“ სპეც. კორესპონდენტი.**



**— ᲔᲡ ᲛᲠᲐᲕᲐᲚᲡᲐᲮᲝᲕᲐᲜᲘ ᲒᲘᲜᲝᲠᲛᲐᲪᲘᲐᲛᲘ**

**— ან ხელი მომიწერეთ განცხადებაზე, ან ტელევიზორს მაუურებინეთ!**

**Ვ. ᲙᲣᲪᲘᲐᲡ ᲜᲐᲮᲐᲢᲘ.**

## ᲬᲔᲠᲘᲚᲘ „ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲘᲡ“

# ᲠᲝᲓᲘᲡ ᲓᲐᲐᲓᲒᲔᲑᲐ ᲡᲐᲣᲕᲔᲚᲘ?

**ᲠᲐ** დაგვავიწყებს იმ ბედნიერ დღეს, ამ ოცდაშვიდი წლის წინათ ახალ სახლში ახალმოსახლეობა რომ ვიზეიმეთ. მაშინ ზამთარი იყო უკვე და პირველ დღეებში სიხარულმა სიცივე დაგვავიწყა, მაგრამ მერე თანდათან შეგვაწუხა. ვის არ მივმართეთ, მაგრამ იმ წელს მხოლოდ დაპირებებით გვანუგეშებდნენ. სამწუხაროდ, ეს საკითხი არც შემდგომ წლებში მოგვარებულა. ზამთრობით სიცივე ძვალსა და რბილში ატანს, ვიტანჯებით 47 ოჯახი, ჩვენს სახლში მოთავსებული №26 საბავშვო ბაღის ნორჩი აღსაზრდელების საცოდაობით ხომ ვიწვით და ვიწვით — მთელ დღეს ჩვენსავით თბილ ტანსაცმელში არიან გამოწყობილი.

ვის, რომელ ინსტანციას არ მივმართეთ ამ ოცდაშვიდი წლის მანძილზე — დაწყებული საბინაო-საექსპლოატაციო უბნით, რაისაბჭოს, ქალაქის საბჭოს აღმასკომს, უფრო ზემოთაც, მაგრამ ჩვენი ხმა დღემდე დარჩა „ხმად მოაღადებლისა უდაბნოსა შინა“. შარშანდელმა ზამთარმა ხომ მთლად დაგვავიწყა ყველაფერი. ხშირად ავადმყოფობდით დიდი და პატარა. არა, იმას ვერ ვიტყვით, ჩვენს საჩივარს სულ არ აქცევდნენ ყურადღებას-თქო. მოვა ერთი-ორი კაცი, კომისია ვართო, ყველაფერს შეავამოწმებთ და გავაკეთებთო, შეხედავენ სახლს და არხეინად ბრუნდებიან უკან.

ჩვენ ვგრძნობთ, წელსაც იგივე უბედურება გველის, ამ ზაფხულს და არც შემდეგ ჩვენი გათბობის და ცხელი წყლის სისტემის წესრიგში მოსაყვანად კაცს არ მოუდგამს ფეხი. ამიტომ, ვიდრე გვიან არ არის, საბურთალოს რაიონის სათანადო ორგანოებმა ახლა მაინც მოგვეხედნონ, თითქმის სამი ათეული წლის ლოდინის შემდეგ იქნებ გვეღირსოს სასურველი გათბობა.

**Ბ. ᲘᲕᲐᲜᲘᲨᲕᲘᲚᲘ,**

**მშვიდობის პროსპექტის №33ა სახლის მცხოვრებთა დავალებით.**

## ᲤᲝᲢᲝᲘᲜᲤᲝᲠᲛᲐᲪᲘᲐ



**ᲨᲐᲕᲘ ᲖᲦᲕᲘᲡ ᲔᲠᲗ-ᲔᲠᲗᲘ ᲞᲝᲞᲣᲚᲐᲠᲣᲚᲘ ᲙᲣᲠᲝᲠᲢᲘ ᲒᲐᲒᲠᲐ ᲚᲚ. ᲚᲐᲙᲝᲑᲐᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲡᲐᲜᲐᲢᲝᲠᲘᲣᲛᲘᲡ ᲨᲔᲜᲝᲑᲐᲓ ᲓᲐᲐᲛᲨᲕᲔᲜᲐ. ᲐᲥ ᲧᲝᲕᲔᲚᲔᲜᲐᲘᲠᲘ ᲞᲘᲠᲝᲑᲔᲑᲘᲐ ᲨᲔᲥᲛᲜᲘᲚᲘ ᲛᲣᲠᲜᲘᲡ ᲓᲐᲡᲐᲛᲨᲕᲔᲚᲘ.**

**ᲡᲣᲠᲐᲗᲘᲡ: ახალი სანატორიუმი.**

**Ბ. ᲡᲝᲙᲝᲚᲝᲕᲘᲡ ᲤᲝᲢᲝ (საქინფორმის ფოტოკორონიკა).**

## ᲒᲣᲨᲘᲜ, ᲓᲦᲔᲡ, ᲮᲕᲐᲚ

**ᲤᲐᲥᲢᲘ ◆ ᲛᲝᲕᲚᲔᲜᲐ ◆ ᲙᲝᲛᲔᲜᲢᲐᲠᲘ**

**ᲑᲝᲒᲓᲐᲜᲝᲕᲙᲘᲡ რაიონის მშრომელები დამაჯერებელი მაჩვენებლებით ხვდებიან დიდი ოქტომბრის დღესასწაულს მათ**

### ᲨᲔᲛᲭᲘᲓᲠᲝᲔᲑᲣᲚᲘ ᲕᲐᲓᲔᲑᲨᲘ

დაამთავრეს კარტოფილის მოსავლის აღება და წლიური გეგმით გათვალისწინებული 6500 ტონის ნაცვლად 7500 ტონა პროდუქცია მიაწოდეს სახელმწიფოს. კარტოფილის დამზადება გრძელდება.

**ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ საწარმოებში ფართოდ არის გაშლილი სოციალისტური შეჯიბრება დიდი ოქტომბრის 70 წლისთავის ღირსეული შეხვედრისათვის, ნაკისრი ვალდებულებების პირნათლად შესრულებისათვის თავდადებით შრომობენ თბილისის საწარმოო გაერთიანება „ელექტროაპარატის“ მშრომელები, რომლებმაც**

### ᲡᲘᲪᲮᲚᲘᲡ ᲨᲔᲤᲐᲡᲔᲑᲐ ᲐᲥᲪᲘᲔᲑᲘᲡ

ვადამდე შესრულდა საოქტომბროდ ნაკისრი ვალდებულება და მომხმარებელმა გეგმის გადამეტებით 400 ათასი მანეთის ნაცვლად 479 ათასი მანეთის პროდუქცია მიიღო.

## ᲡᲝᲪᲘᲐᲚᲣᲠᲘ ᲡᲤᲔᲠᲝ

# ᲑᲘᲜᲔᲑᲡ ᲛᲝᲣᲗᲛᲔᲜᲚᲐᲓ ᲔᲚᲘᲐᲜ

**ᲡᲐᲑᲘᲜᲐᲝ** პროგრამის ყოველმხრივი კომპლექსური განხორციელება რესპუბლიკის სოციალური განვითარების ერთ-ერთი საკვანძო პრობლემაა. მას განსაკუთრებით დიდი ყურადღება დაეთმო სკკპ XXVII ყრილობასა და მომდევნო პლენუმებზე. როგორც ცხობილია, სკკპ XXVII ყრილობაზე დაისახა კურსი, რომ ყველა ოჯახს 2000 წლისათვის უნდა ჰქონდეს ცალკე ბინა ან ინდივიდუალური სახლი, საამისოდ კი დიდი და სერიოზული მუშაობაა საჭირო. ინტენსიურად უნდა გაიზარდოს საბინაო მშენებლობის მასშტაბი, განვითარდეს სახელმწიფო სასრესნი მშენებლობა, გადიდეს კოოპერაციული და ინდივიდუალური მშენებლობის ხვედრითი წილი, განხორციელდეს არსებული საცხოვრებელი ფონდის რეკონსტრუქცია-გაახლების სამუშაოები.

**მიუხედავად იმისა, რომ რესპუბლიკაში მთლიანად შესრულდა საცხოვრებელი ფართობისა და სოციალურ-კულტურული დანიშნულების ობიექტების ჩაბარების მიმდინარე წლის ცხრა თვის გეგმები, ცალკეული სამშენებლო ორგანიზაციები მაინც სერიოზულად ჩამორჩნენ.**

საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს (მინისტრი ამხ. დ. მანჯგალაძე) ათმა ორგანიზაციამ, ხოლო საქაგრომშენის (უფროსი ი. ხარატიშვილი) თერთმეტმა ორგანიზაციამ ვერ უზრუნველყვეს საბინაო მშენებლობის იანვარ-სექტემბრის გეგმების შესრულება. წლის განვლილ პერიოდში საერთოდ ვერ გადასცეს საექსპლოატაციოდ საცხოვრებელი ფართობი თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის „ინჟმშენის“ ტრესტმა (მმართველი ა. პირველი) და საშენ მასალათა მრეწველობის სამინისტროს „საქსპეცრემმშენის“ ტრესტმა (მმართველი გ. კაკუნი).

სახალხო მეურნეობის ამ უმნიშვნელოვანეს დარგში შექმნილი მძიმე მდგომარეობის გამო ბევრი სხვადასხვა მიზეზს ასახელებს, რომლებიც ხელს უშლით გეგმების შესრულებაში. მაგრამ თუ ყურადღებით გავაანალიზებთ სიტუაციას, ცხადი გახდება, რომ ბევრ შემთხვევაში ყველაფერი ადგილებზე საშუამთა ცუდი ორგანიზაციის ბრალია. მშენებლობის ქვეგანაყოფების ხელმძღვანელები ყველგან როდი ფლობენ სრულად სიტუაციას, ვერ უძღვებიან შრომითს კოლექტივებს, არ არის გაკეთურებული ადამიანის ფაქტორი. სწორედ ამ მხრივ განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობა შეიქმნა სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში, სადაც ცხრა თვეში გეგმით

### 9 ᲗᲕᲘᲡ ᲒᲔᲒᲛᲐ ᲨᲔᲡᲠᲣᲚᲓᲐ, ᲛᲓᲒᲝᲛᲐᲠᲔᲝᲑᲐ ᲛᲐᲘᲜᲪ ᲓᲐᲫᲐᲑᲣᲚᲘᲐ

▼▼

გათვალისწინებული 14.600 კვადრატული მეტრი საცხოვრებელი ფართობის ნაცვლად საექსპლოატაციოდ გადაეცა მხოლოდ 8400 კვადრატული მეტრი, რაც ძირითადად გამოწვეულია მშენებლობის სამინისტროს №11 ტრესტის მმართველის ამხ. თ. ვაშაძის არადამაკმაყოფილებელი მუშაობით.

გამოდის, რომ მშენებლობაში ჯერ კიდევ ვერ მიგვიღწევია ძირეული ძვრებისათვის, საჭირო გარდაქმნებისათვის, ამ მიმართულებით კვლავ ბევრი რამ არის გასაკეთებელი. ვითარებას ისიც ართულებს, რომ რესპუბლიკის სამშენებლო ინდუსტრიის სიმძლავრე, მისი აღჭურვილობის დონე არ შეესაბამება დღევანდელ მოთხოვნებს, რაც კიდევ უფრო მეტად აუარესებს მშენებლობის ისედაც ცუდ ხარისხს. აჭიანურებს მისი დამთავრების დადგენილ ვადებსაც. ამასთანავე უხარისხოა საშენი მასალებიც, რაც გარკვეულ დისპროპორციებს ქმნის დარგის განვითარებაში, თანაც რკინიგზა ვერ უზრუნველყოფს ტვირთის დროულად გადაზიდვას და მიწოდებას.

გეგმით გათვალისწინებული მრავალი საცხოვრებელი სახლი და ობიექტები ვერ ჩაბარეს ბათუმის, გორის სახლთსაშენებელმა კომბინატებმა (უფროსები — ე. ხვიჩია და ი. ლეკვა), მახარაძეში — მშენებლობის სამინისტროს №10 ტრესტმა (უფროსი რ. გოგისვანიძე), ზესტაფონის რაიონში — №8 ტრესტმა (უფროსი ზ. კაპანაძე), მცხეთის რაიონში — მშენებლობის სამინისტროს №70 მოძრავ-მექანიზებულმა კოლონამ (უფროსი ზ. აბესაძე), ბორჯომის რაიონში — №83 მოძრავ-მექანიზებულმა კოლონამ (უფროსი ე. ლურსმანაშვილი) და სხვა...

საცხოვრებელ სახლებს მოუთმენლად ელიან. ამიტომ საჭიროა მთელი ძალა და ენერგია მოვახმაროთ ამ საქმის კარგად დაგვირგვინებას, მაქსიმალურად გამოვიყენოთ საწარმოო სიმძლავრეები, დავაჩქაროთ საწარმოთა ტექნიკური განახლება. და საერთოდ საბინაო მშენებლობის დარგში ჩვენი საქმიანობის უმთავრესი ორიენტირი უნდა იყოს ბინის მიღების აღრიცხვაზე მყოფთა მოთხოვნების რაც შეიძლება მალე დაკმაყოფილება. ამ მხრივაც საკმაოდ არის პრობლემები: ჯერ კიდევ ვერ ვითვისებთ მთლიანად

კაპიტალურ დაბანდებებს, ვერ ვასრულებთ ბინების საექსპლოატაციოდ გადაცემის გეგმებს.

ბევრჯერ ადგენინშნავს, რომ საქაგრომშენის ტრესტები კარგა ხანია აყოვნებენ საცხოვრებელი სახლების ჩაბარებას. აქ მოისუსტებს დაკისრებული მოვალეობის გამო მომთხოვნელობა. ამის შედეგია, რომ სახელმწიფო გეგმები ჩაშალეს ქ. თბილისში №1 ტრესტმა (ამხ. ა. მონიავა), ქ. ხაშურში — №3 ტრესტმა (ამხ. თ. ჩიქვინიძე), წითელწყაროში — №4 ტრესტმა (ამხ. ვ. კუპრაძე), მარნეულში — №6 ტრესტმა (ამხ. რ. იოსელიანი) გალის რაიონში — №7 ტრესტმა (ამხ. გ. ჯიტავა), ლანჩხუთის რაიონში — №8 ტრესტმა (ამხ. ბ. ფირცხალაიშვილი), დუშეთის რაიონში (ფასანაურში) — №13 ტრესტმა (ამხ. რ. არაბული), მარნეულში, ბოლნისსა და თეთრწყაროში — მარნეულის სახლთსაშენებელმა კომბინატმა (ამხ. ი. კიხერია). — ასპინძის რაიონში — №9 ტრესტმა (ამხ. კ. დონღუზაშვილი).

როგორც ვხედავთ, მდგომარეობა კვლავ დაძაბულია. მეოთხე კვარტალში უნდა შესრულდეს საცხოვრებელი ფართობის ჩაბარების წლიური მოცულობის ორმოც პროცენტზე მეტი. არადა, წლის დამლევამდე ცოტა დრო დარჩა. დღეს შექმნილი სიტუაცია მოითხოვს მაქსიმალური ეფექტიანობით გამოვიყენოთ ყოველი სამუშაო დღე, სრულად დავტვირთოთ ტექნიკა, მოვაწყოთ 2-3-ცვლიანი მუშაობა, ჩამორჩენა უსათუოდ უნდა დავძლიოთ. ახალმოსახლეობას ელის ათასობით ოჯახი, ხალხი ბინებში დროლად უნდა შესახლდეს.

იმისათვის, რომ გადავჭრათ საბინაო პრობლემა, საჭიროა დროულად გავწარდოთ ჩვენი სამშენებლო ინდუსტრიის შესაძლებლობები. ყველაფერი ვიღონოთ მიმდინარე წლის სახელმწიფო დავალებათა უთუოდ და გადაჭარბებით შესრულებისათვის.

ამას გვავალებს საიუბილეო წლის სპეციფიკაც. სამარცხვინო იქნება, თუ იმ კრიტიკისა და ღონისძიებების შემდეგ რაც შარშანდელი გეგმის შეუსრულებლობას მოჰყვა, დიდი დღესასწაულის აღნიშვნის წელს ზოგიერთების უპასუხისმგებლობის გამო წყალში ჩაიყარა მონდომება და შრომა, გუნება-განწყობილება გაუფუჭდება ბევრ ოჯახს, რომელიც მოუთმენლად ელის სბინაო პირობების გაუმჯობესებას. ამიტომ, დამკვრელური უნდა იყოს ყოველი დღე!

**სოციალურ-ეკონომიკური განყოფილება.**

# ᲐᲥᲢᲣᲐᲚᲣᲠᲘ ᲡᲐᲙᲘᲗᲮᲘ

# ᲯᲐᲠᲗᲘ ᲒᲐᲜᲐ ᲛᲐᲠᲗᲚᲐ ᲯᲐᲠᲗᲘᲐ

**ᲛᲔᲝᲠᲔᲣᲚᲘ** შავი ლითონების დამზადების მხრივ მიმდინარე წლის ოქტომბერში ძალიან მძიმე მდგომარეობა შეიქმნა. თუ სასწრაფო ღონისძიებებს არ განვახორციელებთ, გეგმის შეუსრულებლობის საფრთხის წინაშე აღმოჩნდება რუსთავის მეტალურგიული ქარხანა და მრავალი მანქანათსაშენებელი საწარმო. საქმის არის, რომ სახელმწიფო გეგმით დასამზადებელი 38900 ტონა ჯართიდან დღეისათვის მომზმარებლებს მხოლოდ თერმეტი ათასი ტონა გაუგზავნა. დრო კი გვაჩქარებს, თვის დამთავრებამდე რამდენიმე დღე დარჩა.

ამას, უპირველესად, ელპარაკობთ თბილისის ლენინის, კალინინის, კიროვის, ოქტომბრის, 26 კომისრის საქარხნო, გლდანის, აგრეთვე გარდაბნის, მახარაძის, მარნეულის, საგარეჯოს, თერჯოლის, ხობის, წითელწყაროს რაიონების ხელმძღვანელობის, კერძოდ, სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომების საყურადღებოდ.

განა შეიძლება ნორმალურად მივიჩნიოთ ისეთი ვითარება, რომელიც აფხაზეთში ოქტომბერში ჩაბარებული 1582 ტონა შავი ლითონიდან შეგროვილია მხოლოდ 400, აჭარაში 1368 ტონიდან — 350, სამხრეთ ოსეთში 345 ტონიდან — 40 ტონა?

საქმეს აყოვნებენ რესპუბლიკის კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები, ამიერკავკასიის რკინიგზისა და ცეკავშირის ორგანიზაციები, მშენებლობის, ადგილობრივი მრეწველობის, საავტომობილო ტრანსპორტის და საშენ მასალათა მრეწველობის სამინისტროები.

სხვათა შორის, სექტემბერში საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ დაავალა რესპუბლიკის სამინისტროებს, უწყებებს, სამხრეთ ოსეთის სახალხო დეპუტატთა საოლქო საბჭოს აღმასკომს, საქალაქო, რაიონულ სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომებს, სახალხო კონტროლის კომიტეტებს უზრუნველყონ ჯართის დამზადების ყოველთვიური გეგმებისა და დამატებითი დავალებების უთუო შესრულება. ამ საკითხს განსაკუთრებული კონტროლი დაუწესდა.

მიუხედავად ამისა, ახალქალაქის რაიონმა ცხრა თვეში გეგმის შესრულებას 185 ტონა ჯართი დააკლო. საკმაოდ სოლიდური რაოდენობის ლითონის დამზადებას ვერ მოაბეს თავი დუშეთის, კასპისა და მარნეულის რაიონებმა. ჩამორჩენენ ამბროლაურის, ასპინძის, ბოგდანოვკის, მესტიის, თერჯოლის, თიანეთისა და ხობის რაიონები, ადგილობრივი მრეწველობის სამინისტრო, თბილისის „ჩარხმშენებელის“ საწარმოო გაერთიანება, ბათუმის ნავთობგადამამუშავებელი, კასპის ცემენტის ქარხნები, ცეკავშირის სისტემის ორგანიზაციები. მეორეული შავი ლითონების ერთ-ერთმა ყველაზე დიდმა მომხოვნმა — თვით რუსთავის მეტალურგიულმა ქარხანამ ცხრა თვის გეგმის შესრულებას 477 ტონა ლითონი დააკლო.

სასწრაფოდ მიუხედოთ ჯართის დამზადებას! ოქტომბრისა და წლიური გეგმები, აგრეთვე დამატებითი დავალებები აუცილებლად უნდა შესრულდეს.

# ᲓᲘᲓᲘ ᲘᲜᲢᲔᲠᲔᲡᲘ

## Მ. Ს. ᲒᲝᲠᲑᲐᲩᲝᲕᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲓᲠᲔᲑᲘ ᲒᲐᲛᲝᲘᲪᲐ ᲗᲣᲠᲥᲔᲗᲨᲘ

**ᲐᲜᲙᲐᲠᲐ.** **გამომცემლობა „ბილიმ ვე სანათმა“ თურქულ ენაზე მასობრივი ტირაჟით გამოსცა ბროშურა, რომელშიც შედის სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის მ. ს. გორბაჩოვის მოხსენება სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1987 წლის იანვრის პლენუმზე.**

ბროშურის წინასიტყვაობაში ნათქვამია: „იმედი გვაქვს, რომ სკკპ ცენტრალური კომიტეტის იანვრის პლენუმზე „გარდაქმნისა და პარტიის საკადრო პოლიტიკის შესახებ“ მ. ს. გორბაჩოვის მოხსენების გამოცემით ხელს შეეუწყობთ იმას, რომ ჩვენს ქვეყანაში პირველწყაროების საფუძველზე გაეცნოთ გარდაქმნებს, რომლებიც ამჟამად ხდება სოციალიზმის პირველ ქვეყანაში. მთელი მსოფლიო დღეს დიდი ყურადღებით ადევნებს თვალს საბჭოთა კავშირში მიმდინარე პროცესებს, განახლებას, რომელმაც საბჭოთა ადამიანს უკეთესი მომავალი უნდა მოუტანოს“.

მკითხველთა დიდი ინტერესი გამოიწვია აგრეთვე თურქეთში გამოცემულმა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტიკურმა მოხსენებამ, რომლითაც XXVII ყრილობაზე წარდგა მ. ს. გორბაჩოვი.

## ◆ ᲘᲠᲐᲜᲘ

# ᲛᲗᲐᲕᲠᲝᲑᲘᲡ ᲡᲮᲓᲝᲛᲐ

## ᲒᲐᲜᲘᲮᲘᲚᲐᲕᲔᲜ ᲡᲞᲐᲠᲡᲔᲗᲘᲡ ᲣᲧᲠᲔᲨᲘ ᲨᲔᲥᲛᲜᲘᲚ ᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲐᲡ

**ᲜᲘᲙᲝᲖᲘᲐ.** **ირანის ნავთობის პლატფორმებზე ამერიკის შეერთებული შტატების თავდასხმის შემდეგ სპარსეთის ყურეში შექმნილი ვითარება გახდა მთავარი თემა ირანის მთავრობის სხდომისა, რომელიც თეირანში გაიმართა.** როგორც ირნას საგაზეთო იუწყება, სხდომაზე აღინიშნა, რომ „საჭიროა გადამწყვეტი პასუხი მიეცეს ამერიკის შეერთებული შტატების ამ ავანტიურისტულ აქციას“, რომელიც აღვივებს ომს. გაზეთი „ეთელაათისათვის“ მიცემულ ინტერვიუში „ისლამური რევოლუციის გუშაგების“ კორპუსის სამხედრო-საზღვაო ძალების სარდალმა ჰოსეინ ალაამ თქვა, რომ ირანი აპირებს გამოაცხადოს ხაყოველთაო მობილიზაცია ქვეყანაში.

**ᲜᲘᲣ-ᲘᲝᲠᲙᲘ.** **ირანის საგარეო საქმეთა მინისტრმა ალი აქბარ ველაიათმ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ მდივანს გაუგზავნა წერილი, რომელშიც 19 ოქტომბერს ირანის ორ ნავთობის ბაქანზე სპარსეთის ყურეში განლაგებული ამერიკის შეერთებული შტატების ხამხედრო-საზღვაო ძალების თავდასხმა დაახასიათა აგრესიის ახალ აქტებად, რომლებიც ირანის სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის წინააღმდეგ ძალის უკანონო გამოყენებაა.** ამერიკის შეერთებული შტატების აგრესიული აქციები, ხაზგასმულია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის შტაბ-ბინაში გამოქვეყნებულ წერილში, ამ ორგანიზაციის უშიშროების საბჭოს მუდმივი წევრის მიერ 598-ე რეზოლუციის უაღრესად სერიოზული დარღვევაა.

## ◆ ᲐᲨᲨ

# ᲞᲐᲜᲘᲙᲐ ᲒᲠᲫᲔᲚᲓᲔᲑᲐ

**ᲜᲘᲣ-ᲘᲝᲠᲙᲘ.** **კაპიტალისტურ სამყაროში წამყვანმა ნიუ-იორკის საფონდო ბირჟამ ხუთშაბათს გამოაცხადა, რომ უახლოესი სამი სამუშაო დღის განმავლობაში ორი საათით ადრე დაიკეტება, რათა როგორლაც სული მოითქვას წინა ორშაბ

# ᲐᲮᲐᲚᲘ ᲐᲙᲐᲓᲔᲛᲘᲣᲠᲘ ᲒᲐᲛᲝᲪᲔᲛᲐ



**ᲘᲚᲘᲐ ᲭᲐᲕᲭᲐᲕᲐᲫᲘᲡ** დაბადების 150 წლისთავს გამომცემლობებმა „ეროვნებამ“ და „საბჭოთა საქართველომ“ მიუძღვნეს საიუბილეო სიჩუქარი — პირველი ტომი ილია ჭავჭავაძის თხზულებათა აკადემიური გამოცემის ოცტომეულისა, რომელიც საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს დადგენილებით გამოიცემა.

ახალი აკადემიური გამოცემა სრულად წარმოგვიდგენს მწერლის მხატვრულ, კრიტიკულ, პუბლიცისტურ და ეპისტოლარულ მემკვიდრეობას, აგრეთვე დოკუმენტებსა და საარქივო მასალებს, ყველაფერს, რაც დღესდღეობით ილიას კალმის ნაყოფად არის ცნობილი.

I ტომი მოიცავს პოეზიას, II ტომი — პროზაულ და დრამატულ თხზულებებს, III-IV ტომები — მხატვრულ თარგმანებს, V-XVI ტომებში თავმოყრილია ილიას კრიტიკულ-პუბლიცისტური მემკვიდრეობა, XVII-XVIII ტომებში — პირადი წერილები, XIX ტომში — საარქივო მასალები და დოკუმენტები, უკანასკნელი ტომი კი ეთმობა ბიბლიოგრაფიულ მასალებსა და საძიებლებს.

პირველი ტომის რედაქტორია გიორგი აბაშიძე, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, ვარიანტები და შენიშვნები დაურთო რუსუდან კუსრაშვილმა, ტომს იკონოგრაფიული მასალა და ფოტოდოკუმენტები დაურთო გურამ შარაძემ, მხატვარი — გიორგი ლომიძე, გამოცემის ტექნიკური ხელმძღვანელი ვახტანგ მენთეშაშვილი.

ილია ჭავჭავაძის თხზულებათა აკადემიური გამოცემის ოცტომეულის ტირაჟია 80 000.

ᲤᲔᲡᲢᲘᲕᲐᲚᲘ

# ᲡᲐᲛᲔᲒᲝᲑᲠᲝᲓ ᲡᲐᲕᲐᲚ ᲒᲖᲔᲑᲖᲔ

### ᲘᲜᲓᲣᲠᲘ ᲤᲝᲚᲙᲚᲝᲠᲣᲚᲘ ᲯᲒᲣᲤᲔᲑᲘ ᲐᲪᲜᲝᲑᲔᲜ ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚ ᲮᲔᲚᲝᲕᲜᲔᲑᲐᲡ

**ᲘᲜᲓᲝᲔᲚᲔᲑᲐ** უნდა შევხვდეთ და, ცხადია, ინდოეთზე ვფიქრობ. გამახსენდნენ ამ დიდი ქვეყნის ღირსეული შვილები — ჯავაჰარლალ ნერუ, ინდირა განდი, თავისი ქვეყნის კეთილდღეობისათვის დამამშვრალნი და დაფერფლილნი. აბგვარი ადამიანები ყველა ეროვნების ხალხის პატივისცემას იწვევენ. საქართველოში უყვარდათ ისინი, მათ იცნობდა ყველა — ინტელიგენტი თუ გლეხი, რადგან ვიცით და გვჯერა, რომ ის დიდი ინდოელები ჩვენი ქვეყნის მეგობრები იყვნენ. ერი და ქვეყანაც თავიანთი რჩეულების მისწრაფებებით ცხოვრობდნენ. მსოფლიოს ორი დიდი ქვეყნის მშრომელები კეთილგანწყობილების ტრადიციებით ვცხოვრობთ. და მაინც ერთი ფიქრი მაქვს აკვიატებული. ჩვენს ეროვნულ საუნჯეში — „ვეფხისტყაოსანში“ მთავარი გმირი ინდოელია. ყველა ხელოვანი, მით უმეტეს სიტყვაკაზმული მწერლობის შემოქმედნი დამიდასტურებენ, რომ ამგვარი სიმპათიები უბრალოდ არ იბადება. ერს პატივს უნდა სცემდე, ღირსეულად აფასებდე მას, თუ მი, კულტურასა და ტრადიციებს, რომ შენს შემოქმედებაში საყვარელი გმირი იმ ქვეყნის შვილად დაბატო.

ისევ ვფიქრობ, ნუთუ საქართველოს იმ ალმავლობის ხანაში შორეულ ინდოეთთან მარტო საეკონომო-საქარავნო გზები აკავშირებდა? ალბათ, საქართველო ინდოეთთან კულტურის გზებითაც იქნებოდა დაკავშირებული...

ინდოელმა კინომსახიობმა და რეჟისორმა დოლალ როიმ გვითხრა: ქართულ სიმღერებსა და ცეკვებს ჩემს სამშობლოში გავეცანით. დოლალ როი ინდოეთის ხალხური შემოქმედების ფესტივალის მონაწილეებს ხელმძღვანელობს. ისინი აი უკვე თვე-ნახევარია საბჭოთა კავშირში იმყოფებიან. კონცერტები გამართეს შუა აზიის რესპუბლიკების ქალაქებში — დუშანბეში, აშხაბადში... ჩვენთან სომხეთიდან ჩამოვიდნენ. ახლა თავიანთ ხელოვნებას კახეთის რაიონებში უჩვენებენ. ინდოელი მეცეკვეები და მომღერლები უკვე გულთბილად მიიღეს აზერბაიჯანში და ლაგოდეხელმა მშრომელებმა. კახეთის სტუმრებს მოსწონთ აქაური ბუნება, ხალხი, მასპინძლობა.

— თქვენთან ყველაფერი თვალწარმტაცია, — გვითხრა ინდოეთის პენჯაბის შტატის ცნობილი მომღერალი ქალის გურმით ბავას მეუღლემ, ჯგუფის ხელმძღვანელმა კირპალ ბავამ. ბალბატონი ბავა უკვე თხუთმეტი წელია ინდოეთის რადიო-ტელევიზიაში თანამშრომლობს, პოპულარულია მის მიერ ფილმებში შესრულებული სიმღერები.

ამ დღეებში ინდოელების სამი ფოლკლორული ჯგუფი მართავს კონცერტებს. ისინი სხვადასხვა შტატიდან არიან. ყველას თავისი სამხატვრო ხელმძღვანელი ჰყავს, ოღონდ საერთო საკონცერტო პროგრამით გამოდიან.

ცუჯარათის შტატის მოცეკვეების სამხატვრო ხელმძღვანელია რაჯივ დონგა. იგი თავისი ტომის — დონგების წარმომადგენელია. მათი ცეკვები განსხვავებულია, შიგ ბევრია აკრობატული ელემენტები, რელიგიური რიტმები. ცეკვა „დონგა“ მოსავლის აღების ზეიმს ეძღვნება. ორისას შტატის ახალგაზრდული ფოლკლორული ჯგუფი ქალაქ სამბალპურიდანაა. მოცეკვავე ქალიშვილები კოლეჯში სწავლობენ, თავისუფალ დროს კი ხელოვნებას უთმობენ. დაუზარებლად დადიან სოფლებში და ფოლკლორულ მასალებს აგროვებენ. მერე ჯგუფის ხელმძღვანელის რამონ რაჯ პანდას ხელმძღვანელობით ამუშავებენ მასალას და ელემენტებს ცეკვაში იყენებენ. „დესი კარმა“ — ასე ეწოდება ჯგუფის საკონცერტო ცეკვას და იგი ეძღვნება მიწათმოქმედებისა და ნაყოფიერების ქალღმერთ კარმასს.

ერთობ ხალისიანად გრძნობენ თავს საქართველოში ინდოელ სტუმრები. მოგზაურობა და კონცერტები სულაც არ ღლით. ლაგოდეხში სახალხო ზეიმზე ჰერეთობაზე მიიწვიეს ორისის შტატის ფოლკლორული ჯგუფი.

ინდოელი სტუმრები თბილისობის ზეიმში მიიღეს მონაწილეობას და მერე სამშობლოში დაბრუნდებიან. ჩვენთვის აქ უკვე ძალიან ცივი ამინდებია და ცხელ ინდოეთამდე თქვენი სითბო ჩაგვაცილებსო, — უთხრეს მათ კახელ მასპინძლებს.

(საქინფორმის კორ.).

# ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲒᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲝᲡᲗᲕᲘᲡ

**ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ** სსრ განათლების სამინისტროს გადაწყვეტილებით, რესპუბლიკის ზოგადსაგანმათლებლო სკოლებსა და სკოლა-ინტერნატებში საშემოდგომო არდადეგები გაგრძელდება 5-დან 9 ნოემბრის ჩათვლით. მეცადინეობა შეწყდება 4 ნოემბერს, ოთხშაბათს, და განახლდება 10 ნოემბერს, სამშაბათს.

არდადეგების დღეებს სკოლების პედაგოგიური კოლექტივები გამოიყენებენ განვლილ მეოთხედში გაწეული მუშაობის ანალიზისა და შეჯამების, მეთოდიკური ოსტატობის სრულყოფის, თეორიული და პოლიტიკური ცოდნის დონის ამაღლებისათვის.

არდადეგების პერიოდი სკოლის ხელმძღვანელებმა, პიონერულმა და კომკავშირულმა ორგანიზაციებმა აქტიურად უნდა გამოიყენონ მოსწავლეთა ფიზიკულტურულ-გამაჯანსაღებელი, სპორტულ-მასობრივი, კულტურულ-საგანმანათლებლო და სანახაობრივი, იდეურ-პოლიტიკური აღზრდის ღონისძიებებისათვის.

(საქინფორმი).

# ᲠᲔᲮᲝᲡᲚᲝᲕᲐᲙᲘᲔᲚᲘ ᲛᲮᲐᲢᲕᲠᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲤᲔᲜᲐ

**„ᲛᲗᲝᲚ** ქართველ ხალხს სიყვარულით ვუძღვნი ამ გამოფენას“ — თავის ხელით წააწერა აფიშას ცნობილმა ჩეხოსლოვაკელმა მხატვარმა იოზეფ იირამ, რომელიც დამთვალიერებლებს იწვევს თავისი ნამუშევრების პერსონალურ გამოფენაზე.

ეს გამოფენა 20 ოქტომბერს თბილისის მხატვრის სახლში გახსნა საქართველოს სსრ კულტურის მინისტრის პირველმა მოადგილემ ი. გამრეკელმა. ოსტატის შემოქმედებითი გზის შესახებ, რომლის ნამუშევრები დაცულია პრაღის ეროვნულ გალერეაში, მოსკოვის ა. ს. პუშკინის სახელობის სახვითი ხელოვნების მუზეუმში და სხვა მუზეუმებში, ისაუბრა ინდოელ ტექნიკური მიზეზების გამო დაშვებულია მონეტების ფოტოსურათების შეუსაბამობა მათ ორიგინალებთან: კრესერი „ავრორას“ გამოსახულება და „ლ“ (რუსული) ასოს მოხაზულობა.

# ᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲡᲐᲮᲒᲐᲜᲙᲘᲡ ᲘᲜᲤᲝᲠᲛᲐᲪᲘᲐ

**ᲓᲘᲓᲘ** ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 70 წლისთავის აღსანიშნავად გამოშვებული მანეთიანი, 3 და 5 მანეთიანი საიუბილეო მონეტების ფოტოსურათებზე საკადესისაგან დამზადებული ტექნიკური ტექნიკური ოქროს ფოტოსურათებს ეტანებ ... ... ...